საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

02/06/2026

MIA 9 26 01913688

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-4036-ce470110@askgov.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმოდგენილი 2026 წლის 2 ივნისის №1905206 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გამოვლენილი დანაშაულისა და სხვა ინფორმაციის მიწოდება, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებისა და არა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ნებისმიერი სტატუსის მქონე სუბიექტ(ებ)ისა ან/და სამართალდარღვევის გარემოებათა მიხედვით.

ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. შესაბამისად, დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს პროკურატურას.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, რეგისტრირებული დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №1/271 ბრძანების საფუძველზე, რომელსაც შესაბამისი პერიოდულობით აქვეყნებს ოფიციალურ ვებგვერდზე - police.ge (https://tinyurl.com/vjauhwbh; https://tinyurl.com/msptxcrs).

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შედეგად, აღირიცხება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულიც. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი და სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე (https://shorturl.at/hHW03).

შინაგან საქმეთა სამინისტროს
ადმინისტრაციის უფროსი (დეპარტამენტის
დირექტორი) შალვა ნათენაძე